ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის შინაგანაწესი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 23.01.2024 წ.

დადგენილება N9.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N35.

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს სამართლებრივ - დისციპლინური წესების კრებულს, რომელიც ადგენს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პერსონალის სამუშაო პირობებს, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პერსონალის ქცევის წესებს და დადგენილი წესების დარღვევისათვის აწესებს შესაბამის დისციპლინარულ პასუხისმგებლობას;

1.2. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესი, ასევე უნივერსიტეტის ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც ეხება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობას.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

2.1. უნივერსიტეტის შინაგანაწესი (შემდგომში – „შინაგანაწესი”) შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და ვრცელდება აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე.

2.2. შინაგანაწესის მიზნებია:

ა. დასაქმებულისათვის ხელშეწყობა;

ბ. შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;

გ. კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დამკვიდრება;

დ. სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება;

ე. სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ეფექტიანობის ზრდა.

2.3. შინაგანაწესით განისაზღვრება:

ა. სამუშაო დრო და შესვენების დრო;

ბ. ხელფასის და სამივლინებო თანხის გაცემის წესი;

გ. დასაქმებულთა მივლინების გაფორმების წესი;

დ. დასაქმებულთა მიერ შვებულების გამოყენების წესი და პირობები;

ე. დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები;

ვ. უნივერსიტეტის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები;

ზ. დასაქმებულთა წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი;

თ. საქართველოს შრომის კოდექსით და ყველა სხვა კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

მუხლი 3. შრომითი ხელშეკრულება/პერსონალის სამუშაო პირობები

3.1. უნივერსიტეტი დებს შრომით ხელშეკრულებას უნივერსიტეტის პერსონალთან, რომლითაც განისაზღვრება:

ა. პერსონალის სამუშაო პირობები;

ბ. შრომის ანაზღაურების წესი და სხვა უფლება - მოვალეობები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

3.2. შრომითი ხელშეკრულების პირობები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსისა და ყველა სხვა კანონთა მოთხოვნებს, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს.

მუხლი 4. სამუშაო დრო

4.1. უნივერსიტეტში დაწესებულია ექვსდღიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით;

4.2. სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით, პერსონალისათვის დასაშვებია 6 (ექვსი) დღიანი სამუშაო კვირა შაბათი დღის დამატებით, თუმცა შესაძლებელია იყოს საგამონაკლისო შემთხვევები და მოითხოვდეს დამატებით დღეს;

4.3. სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალისათვის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო დაკავშირებულია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან (შესაძლებელია იყოს სხვა დანაწესი);

4.4. ბიბლიოთეკის მუშაობის საათები განისაზღვრება დამოუკიდებლად ბიბლიოთეკის დებულების (სარგებლობის წესი) შესაბამისად;

4.5. უნივერსიტეტსა და პერსონალს შორის სამუშაო დროის ხანგრძლივობა შესაძლებელია განისაზღვროს ურთიერთშეთანხმებით;

4.6. შესვენება შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი საათი. სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები ვალდებულნი არიან შესვენების დრო გადაანაწილონ იმგვარად, რომ არ მოხდეს სამუშაო პროცესის შეფერხება;

4.7. უნივერსიტეტში ლექცია იწყება საათის დასაწყისში და გრძელდება 50 წუთი;

4.8. პერსონალი წლის განმავლობაში სარგებლობს 24 (ოცდაოთხი) სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულებით. შვებულების შესახებ განცხადება მინიმუმ ხუთი სამუშაო დღით ადრე წარედგინება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ხოლო შემდგომ უნივერსიტეტის რექტორი განიხილავს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხს;

4.9. პირი, რომელიც ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ ცხადდება სამსახურში, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და სამსახურში გამოცხადების შემდეგ წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა. თუ დასაქმებული ვერ წარმოადგენს ჯანმრთელობის ცნობას ან სამსახურს აცდენს სხვა პირადი მიზეზით, ვალდებულია მოითხოვოს შვებულება;

4.10. პერსონალის მხრიდან შვებულების გამოყენებამ ხელი არ უნდა შეუშალოს უნივერსიტეტის სამუშაო პროცესს;

4.11. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა დასაქმებიდან თერთმეტი თვის შემდეგ. თუმცა, რექტორის გადაწყვეტილებით პერსონალს შვებულება შესაძლებელია მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც;

4.12. ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა შვებულებაში გასვლა ერთდროულად დაუშვებელია. აღნიშნულის შესახებ, პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს/ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს;

4.13. ორსულობის და მშობიარობის გამო, ბავშვის მოვლის გამო, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. დასვენების დღეები

5.1. უნივერსიტეტში დასვენების დღეა კვირა, გარდა მე - 4 მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა;

5.2. უნივერსიტეტი ისვენებს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეებში;

5.3. უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით და მისი დისკრეციით, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება განისაზღვროს დასვენების დღეები, რომლებსაც არ ითვალისწინებს შრომის კოდექსი.

5.4. უნივერსიტეტის მენეჯმენტი უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად, მოსთხოვოს პერსონალს კანონმდებლობითა და ამ შინაგანაწესით განსაზღვრულ ყოველდღიური ნორმირებული სამუშაო დროის ფარგლებს მიღმა სამუშაოს შესრულება ან/და გამოიძახოს დასვენებებსა და უქმე დღეებში.

5.5. უნივერსიტეტის თანამშრომელი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით დარჩეს უნივერსიტეტში და ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ დავალებათა დროულად და სრულყოფილად შესრულებისათვის.

მუხლი 6. დასაქმებულთა მივლინება

6.1. მივლინება არის უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, დასაქმებულის მივლენა სხვა საქმეზე, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე;

6.2. შესაბამისი პერსონალის მივლინების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის რექტორი და ბრძანებას უგზავნის უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს;

6.3. მივლინების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ოდენობების ფარგლებში.

მუხლი 7. პერსონალის უფლება - მოვალეობები

7.1 აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ - პროფესორისა და ასისტენტისაგან;

7.2. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ, ხოლო ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტი პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სააუდიტორიო (ჯგუფში/პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა) და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში;

7.3. აკადემიური თანამდებობის პირი შესაძლებელია იყოს უნივერსიტეტთან აფილირებული.

მუხლი 8. პერსონალის შრომის ანაზღაურება

8.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით და შეესაბამება მათ სამუშაო დატვირთვას;

8.2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით და შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

8.3. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეებს უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს;

8.4. უნივერსიტეტის პერსონალისთვის შრომის ანაზღაურების ხორციელდება თვეში ერთხელ, ყოველი თვის 10 (ათი) რიცხვამდე;

8.5. კვლევითი ნაშრომების ხელმძღვანელების/კონსულტანტების, რეცენზენტებისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა ექსპერტების მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 9. სამსახურში დაგვიანება/სამსახურის გაცდენა

9.1. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სამუშაოზე დაგვიანებად მიიჩნევა უნივერსიტეტსა და პერსონალს შორის სამუშაოს შესასრულებლად შეთანხმებულ დროზე გვიან გამოცხადება;

9.2. სამსახურში გამოცხადება, სამუშაოს შესასრულებლად შეთანხმებულ დროზე არაუმეტეს 15 წუთით გვიან, მიიჩნევა ავტომატურად საპატიოდ და ამ შემთხვევაში, წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული სანქციები გამოყენებას არ ექვემდებარება;

9.3. სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე ადრე წასვლა უტოლდება სამუშაოზე დაგვიანებას;

9.4. ლექციაზე დაგვიანებად ჩაითვლება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ლექციის დაწყებიდან 5 (ხუთი) ან მეტი წუთის დაგვიანებით გამოცხადება;

9.5. პერსონალი ვალდებულია სამსახურში დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს გამოუცხადებლობის მიზეზი და ასევე, უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, პერსონალი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ დაუყოვნებლივ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ;

9.6. არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების და სამუშაო დროის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს გაცდენილი საათები;

9.7. პერსონალის მიერ სისტემატურ დაგვიანებად და სისტემატურ გაცდენად ჩაითვლება სრული კალენდარული თვის განმავლობაში 3 (ხუთი) ან მეტი შემთხვევა სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა, 3 (სამი) ან მეტი შემთხვევა სამუშაო ადგილის გაცდენისა;

9.9. ამავე მუხლის 8.7. პუნქტის თანახმად უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაიწყოს დისციპლინური წარმოება დადგენილი ნორმების დამრღვევი პირის მიმართ.

მუხლი 10. საპატიო დრო და არასაპატიო დრო

10.1. პერსონალი ვალდებულია სამსახურში დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს გამოუცხადებლობის მიზეზი;

10.2. პერსონალის მიერ სამუშაოზე დაგვიანება ან სამუშაოზე გამოუცხადებლობა ჩაითვლება საპატიოდ თუ, უშუალო ხელმძღვანელი დააკმაყოფილებს პერსონალის ზეპირ, ან წერილობით განცხადებას დაგვიანების ან გამოუცხადებლობის თაობაზე;

10.3. ლექციაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი საბუთი/ინფორმაცია უნდა წარედგინოს შესაბამისი სკოლის დეკანს;

10.4. არასაპატიო მიზეზით გაცდენის/გამოუცხადებლობის შემთხვევებში, პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციებით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 11. პერსონალის წახალისება

11.1. უნივერსიტეტის თანამშრომელთა წახალისება ხდება მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისათვის, უნივერსიტეტში ხანგრძლივი და სამაგალითო მუშაობისათვის და პერსონალის შეფასების შედეგების გათვალისწინებით;

11.2. წახალისების სახეებია:

- პრემია;
- მატერიალური და არამატერიალური ჯილდოები;
- მადლობის გამოცხადება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- სხვა წახალისების სახეები.

მუხლი 12. დისციპლინური პასუხისმგებლობა

12.1. დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მიმართ მათ მიერ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში;

12.2. უნივერსიტეტის შინაგანაწესის ან ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის დისციპლინური სასჯელის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსით განსაზღვრული წესით.

მუხლი 13. შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა

13.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს ჰყავს შრომის უსაფრთხოების დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნას;

13.2. სამუშაო დროის დასრულების შემდგომ დასაქმებული ვალდებულია ელექტროქსელიდან გამორთოს კომპიუტერული და სხვა სახის ელექტრომოწყობილობები, მათ შორის განათების საშუალებები.

მუხლი 14. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა

14.1. პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით არსებობს:

- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება. ამ მიზნით ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრი ბალონები;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა;
- უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, კერძოდ, ადმინისტრაციული შენობის აუდიტორიაში მოწყობილია მედპუნქტი შესაბამისი ინვენტარით;
- უნივერსიტეტში არსებობს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, ხელშეკრულებით დასაქმებულია დაცვის თანამშრომელი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში სისტემატიურად აკონტროლებს სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებას;
- უნივერსიტეტის ტერიტორია კონტროლდება ოცდაოთხსაათიანი ვიდეო სათვალთვალო მოწყობილობებით/კამერებით.

მუხლი 15. სალექციო დროის განაწილება

15.1. უნივერსიტეტში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად: შემოდგომა და გაზაფხული;

15.2. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობაა 19 (ცხრამეტი) კვირა;

მუხლი 16. სამსახურიდან გათავისუფლების წესი

16.1. განცხადება გათავისუფლების შესახებ იწერება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;

16.2. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური განცხადებას 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადასცემს უნივერსიტეტის რექტორს რეაგირებისთვის;

მუხლი 17. თანამშრომელთა შიდა კომუნიკაციის სისტემა

17.1. უნივერსიტეტის პერსონალი შიდა კომუნიკაციისათვის იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას - „eflow“;

17.2. უნივერსიტეტის პერსონალი კომუნიკაციისთვის იყენებს კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტას;

მუხლი 18. დისკრიმინაციის ცნება შრომითი ურთიერთობების დროს

18.1. უნივერსიტეტში შრომითი ურთიერთობები ეფუძნება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის თანასწორობას, ურთიერთპატივისცემას, კეთილსინდისიერებასა და ღიაობას;

18.2. აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას კოლეგიალობის პრინციპებს. შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, უარყოფას ან ხელყოფას.

18.3. აუცილებელია უნივერსიტეტში დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული ბალანსის დაცვა.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებანი

19.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

19.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

19.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

19.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.